4.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ზრდის სხვადასხვა სპორტული ღონისძიების დაფინანსებას. 2022 წლისათვის გათვალისწინებული პროექტით - 13,0 ათასი ლარი.

4.1.2 ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთის“ ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 02)

მუნიციპალიტეტი სრულად აფინანსებს ქართული ფეხბურთის შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით ხდება ასაკობრივი ჯგუფებისა და ქალთა გუნდის ტურნირების დაფინანსება, რაც 2023 წლისათვის შეადგენს 333,7 ათას ლარს.

4.1.3 სტადიონების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 01 03)

ხდება არსებული სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

4.2.1 ძეგლთა დაცვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 02 02)

ამ კუთხით გამოყოფილი სახსრები განკუთვნილია ისტორიული ძეგლების მონიტორინგისათვის, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების წარმოებისათვის.

4.2.2 კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 03)

2023 წლის განმავლობაში დაგეგმილია სხვადასხვა თემატური ღონისძიება, ხალხური პოეზიის გამოვლენა და შემოქმედ ოჯახებთან შეხვედრა, ახალგაზრდა თაობის ჩართვით.

4.3 ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები (მხარეთმცოდნეობის კუთხით ლაშქრობების მოწყობა, ახალგაზრდული დღეების გამართვა, ექსკურსიების მოწყობა, ახალგაზრდობისათვის სხვადასხვა თემატურ საკითხებზე შეხვედრების მოწყობა, ახალგაზრდების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ინიცირებული პროექტების თანადაფინანსება).

4.4 კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 05)

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმათლებო საზოგადოებრივი ცენტრი“-ს მეშვეობით მუნიციპალიტეტი ახდენს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, ახორციელებს კულტურულ ღონისძიებებს, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობ და სანახაობრივ ღონისძიებებს, . ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტური ცენტრი“ კოორდინირებას უწევს ქ. ხობში კულტურის სახლის, ცენტრალური ბიბლიოთეკის ქ. ხობში, 12 სასოფლო ბიბლიოთეკის, 8 სასოფლო კლუბის, 2 სასოფლო კულტურის სახლის, 3 მუზეუმის მუშაობას. ცენტრი ასევე ახორციელებს სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებას მომავალ თაობასთან. აქ ფუნქციონირებს სამუსიკო სკოლა, კომპიუტერის შემსწავლელი ცენტრი, სხვადასხვა სპორტული სექციები (ჭიდაობის, კრივის, რაგბის, ჭადრაკის, კარატესა და მკლავჭიდის) და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. სულ სხვადასხვა წრეებსა და სექციებში გაერთიანებულია 700-ზე მეტი ბავშვი. მუნიციპალიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მატერიალური ბაზისა და სპორტული და სასწავლო ინვენტარებით უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხს.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებების და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

2023 წელს გათვალისწინებულია 186,4 ათასი ლარის ასიგნება.

5.2 ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა

მუნიციპალიტეტი ახდენს იმ მცირერიცხოვანი სულადობის მქონე სოფლების ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას, რომლებიც დარჩნენ სახელმწიფო პროგრამის გარეშე. ამ მიზნით 2023 წელს გამოიყოფა 51,3 ათასი ლარი.

5.3 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 03)

5.3.1 ავადმყოფთა სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 01)

სოციალურად შეჭირვებულ ადამიანებს მუნიციპალიტეტი ეხმარება ფაქტიური საოპერაციო ხარჯების 20-50 %-ის დაფარვით, არაუმეტეს 2000 ლარის ფარგლებში, სატრანსპორტო ხარჯების დასაფარავად დახმარება ეძლევა დიალეზით დაავადებულებს, ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობით, მოხდება 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სამედიცინო რეაბილიტაციის ერთჯერადი დახმარება არაუმეტეს 500 ლარისა.

5.3.2 სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები) (პროგრამული კოდი 06 03 02)

ამ მიზნით გამოყოფილია 6,0 ათასი ლარის ასიგნება.

5.3.3 მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა და ჩერნობილის ტრაგედიით დაზარალებულთა სოც. უზრუნველყოფის ხარჯები (პროგრამული კოდი 06 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ერთჯერადი დახმარება მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე, ჩერნობილის ტრაგედიის დროს დაზარალებულზე, 2008 წლის აგვისტოს ომსა და აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება.

5.3.4 მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი), დედ-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი (პროგრამული კოდი 06 03 04)

2023 წელს გამოყოფილია 26,0 ათასი ლარის ასიგნება. დახმარება ეწევა 4 და მეტი შვილზე 80 ოჯახს, 100 წელზე უხნესს 7 პიროვნებას.

5.3.5 უმწეოთა სასაძილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება (პროგრამული კოდი 06 03 05)

სასაძილო ემსახურება 150 ბენეფიციარს, ხოლო ბინაზე მომსახურება ეწევა 25-მდე მარტოხელას. ამ მიზნებისათვის გამოიყოფა 125,0 ათასი ლარი.

5.3.6 ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი (პროგრამული კოდი 06 03 06)

2023 წელს გამოყოფილია 40,0 ათასი ლარი, ერთ ახალშობილზე, პირველ და მეორე ბავშვზე 200 ლარი, მესამე და ზემოთ შვილზე 300 ლარი, მეექვსე და ზემოთ 600 ლარი, დაიგეგმა 200 ბავშვზე

5.3.7 უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება (პროგრამული კოდი 06 03 07)

0-57000 სარეიტინგო ქულის მქონეთ ეწევა დახმარება, რაც მოიცავს 130-მდე ოჯახს, რომელთა სულადობა 600-მდეა. გამოყოფილია 2023 წელს 17,0 ათასი ლარი.

5.4 უმწეოთა ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 04)

დახმარება ეწევა სოციალურად შეჭირვებულ ადამიანებს ერთჯერადად, 2023 წელს გამოყოფილია 20,0 ათასი ლარი.

5.5 ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 05)

2023 წელს გათვალისწინებულია 30.0 ათასი ლარი.

5.6 მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 06)

2023 წელს 100,0 ათასი ლარამდე გამოიყოფა უკიდურესად შეჭირვებული მოსახლეობის ავარიული სახლების შეკეთებისა და უსახლკაროდ დარჩენილთათვის ყოველთვიური ბინის ქირის გადასახადის დაფინანსებისათვის, სახლი შეკეთებისათვის გაიცემა ერთჯერადად 500-დან 3000 ლარამდე, ხლო ბინის დაქირავებისათვის ოჯახზე 50 დან 100 ლარამდე თავშესაფარში მოთავსებამდე განაცხადის გაკეთებისას, საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტში ჩამოსაყალიბებული პრიორიტეტების, პროგრამების მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების მოასფალტება და განათება, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, სასამელი წყლის სისტემების და სახურავების რეაბილიტაცია, სოფლებში სასამელი წყლის სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია, საშიშ კერებზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა | 2025 წლის გეგმა | 2026 წლის გეგმა |
|-----------------|--|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|
| 02 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 10166.0 | 14019.6 | 2809.7 | 10275.8 | 12669.2 | 13261.9 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები) | 7101.7 | 7052.2 | 835.3 | 5178.8 | 6934.2 | 6893.9 |
| 02 01 01 | გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა | 6994.6 | 7034.7 | 827.3 | 4828.8 | 6494.2 | 5993.9 |
| 02 01 02 | ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა | 107.1 | 17.5 | 8.0 | 350.0 | 440.0 | 900.0 |

| | | | | | | | |
|----------|---|--------|--------|--------|--------|--------|--------|
| 02 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 2047.2 | 4979.5 | 1375.4 | 3458.0 | 3546.0 | 3799.0 |
| 02 02 01 | გარე განათება | 382.7 | 410.0 | 490.6 | 500.0 | 560.0 | 575.0 |
| 02 02 02 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 84.3 | 47.9 | 22.0 | 468.0 | 872.0 | 1074.0 |
| 02 02 03 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია | 1240.5 | 4208.5 | 574.6 | 1730.0 | 1180.0 | 1110.0 |
| 02 02 04 | სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 162.0 | 74.0 | 24.0 | 480.0 | 600.0 | 680.0 |
| 02 02 06 | მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია | 177.7 | 239.1 | 264.2 | 280.0 | 334.0 | 360.0 |
| 02 04 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 702.6 | 856.8 | 0.0 | 784.0 | 784.0 | 784.0 |
| 02 05 | სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია | 0.0 | 241.1 | 224.0 | 450.0 | 950.0 | 1260.0 |
| 02 06 | რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება | 292.0 | 860.0 | 345.0 | 370.0 | 415.0 | 480.0 |
| 02 07 | ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | 22.5 | 30.0 | 30.0 | 35.0 | 40.0 | 45.0 |

1.1.1 გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გზების რეაბილიტაცია, ცენტრალური ქუჩების დახაზვა, სიჩქარის შემზღვევლების მოწყობა, შუქნიშნების მოწყობა, ქალაქის დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

სკოლებთან და ჯანდაცვის ობიექტებთან გადაადგილების ხელშეწყობა.

მოსახლეობის ეკონომიკური საქმიანობისათვის ხელსაყრელი სატრანსპორტო მიმოსვლა

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საგზაო შემთხვევების შემცირებული რაოდენობა.

რეაბილიტირებული გზების ხვედრითი წილის ზრდა

მოსახლეობის კმაყოფილების მაჩვენებელი

1.1.2 ხიდების, ხიდ-ბოგიერების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01 02)

2023-2026 წლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდ-ბოგიერების მგომარეობის შენარჩუნება, მუნიციპალიტეტის სოფლებში ხიდ-ბოგიერების რეაბილიტაცია, ახლის მშენებლობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

სოფლად ტრანსპორტისა და მექანიზმების შეუფერხებელი გადაადგილება.

კონკრეტული უბნის მოსახლეობის შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საგზაო შემთხვევების შემცირებული რაოდენობა.

სატრანსპორტო მიმოსვლის დროის შემცირება.

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 02)

1.2.1 გარე განათება (პროგრამული კოდი 02 02 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

განათებული მუნიციპალიტეტი;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

განათებული ქალაქის ქუჩების რაოდენობა;

ექსპლოატაციაში არსებული სანათი წერტილების რაოდენობა სოფლებში;

1.2.2 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

არსებული წყლის სისტემების ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია, ცენტრალური ბიუჯეტიდან სათანადო დაფინანსების მიღების შემთხვევაში გაგრძელდება სოფლების წყალმომარაგების საკითხების გადაწყვეტა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა;

მოწესრიგებული სასმელი წყლის სისტემა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ქალაქში სასმელი წყლით უზრუნველყოფა დღე-ღამის ნების მიერ დროს;

სოფლად წყალმომარაგებით უზრუნველყოფილ კომლთა რაოდენობა.

1.2.3 მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 02 03)

ქალაქის იერსახის გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებულია ასიგნებების მიმართვა ქალაქის მთავარ ქუჩებზე ტროტუარების რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის. კვლავ გრძელდება საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

ქალაქისა და სოფლის ცენტრების იერსახის გაუმჯობესება.

არსებული სპორტული მოედნების კეთილმოწყობა.

მოსახლეობისათვის დასასვენებელი პირობების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კეთილმოწყობილი ქალაქისა და სოფლების ცენტრების ხვედრითი წილის ზრდა.

გაუმჯობესებული სპორტული ინფრასტრუქტურის ობიექტების რაოდენობის ზრდა.

რეაბილიტირებული და ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა.

1.2.4 სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 04)

რეგიონის ჭარბნალექიანობიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის საკითხებს, ასევე ამ კუთხით იხარჯება სახსრები სოფლების მიხედვითაც.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მოწესრიგებული სანიაღვრე და სამელიორაციო სისტემები;

დაცული სასოფლო სამეურნეო სავარგულები, საყანე ფართობები და საკარმიდამო ნაკვეთები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ჭარბი ნალექებისაგან დაცული მოსახლეობის რაოდენობა.

მინიმუმამდე მცირდება ნალექებიდან გამომდინარე დატბორვის შესაძლებლობა.

1.2.5 მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 06)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული დაწესებულებების სასმელი წყლით უზრუნველყოფა; ქ. ხობის მოსახლეობისა და ქ. ხობში განთავსებული დაწესებულებებისთვის წყალარინებით მომსახურების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- გამართული წყალმომარაგების ქსელი;
- გაუმჯობესებული სანიტარული პირობები;
- გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა;
- მოსახლეობის აქტიური ჩართულობა თვითმართველობის ინფრასტრუქტურულ პროექტებში;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ქალაქად და სოფლად მოწესრიგებული წყალმომარაგების სისტემა;
- ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა;

1.3 სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04)

პერსპექტივაში გათვალისწინებულ იქნება განსაკუთრებით კრიტიკულ ადგილებში ნაპირსამაგრი სამუშაოების წარმოება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

იზრდება წყალდიდობისაგან ზიანის მიყენების პრევენცია.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

წყალდიდობისაგან დაცული სოფლების რაოდენობა.

1.4 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 07)

რეგიონის იმიჯის ხელშეწყობა, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოსაზიდად.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

ტურისტული ობიექტებისა და ტურისტების ნაკადის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეგიონში ტურისტული ობიექტების ზრდა;
- ტურისტების რაოდენობის ზრდა.

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა | 2025 წლის გეგმა | 2026 წლის გეგმა |
|-----------------|------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 553.8 | 585.6 | 632.5 | 665.0 | 775.0 | 817.0 |
| 03 01 | დასუფთავების ღონისძიებები | 553.8 | 585.6 | 632.5 | 665.0 | 775.0 | 817.0 |

პროგრამის ფარგლებში დასუფთავების ღონისძიებები, არსებული კანალიზაციის სისტემის ექსპლოატაცია, სანიაღვრე არხების მოწყობა-მოვლა, ამხანაგობების ჩამოყალიბება და თანადაფინანსება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან და მაწანწალა ცხოველებისაგან გათავისუფლებული მუნიციპალიტეტი;

- გაუმჯობესებული სანიტარული პირობები;
- გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა;
- მოსახლეობის აქტიური ჩართულობა თვითმართველობის ინფრასტრუქტურულ პროექტებში;
- შედეგების შეფასების ინდიკატორები:**
- ქალაქად და სოფლად მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა
- გატანილი ნარჩენების რაოდენობა;
- ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა;

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების გახსნა და მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა | 2025 წლის გეგმა | 2026 წლის გეგმა |
|-----------------|-----------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|
| 04 00 | განათლება | 2393.1 | 3171.0 | 2907.6 | 2957.0 | 3039.0 | 3171.0 |
| 04 01 | სკოლამდელი განათლების დაფინანსება | 1737.6 | 2376.9 | 2882.6 | 2933.0 | 3015.0 | 3147.0 |
| 04 05 | საჯარო სკოლების დაფინანსება | 655.5 | 794.1 | 25.0 | 24.0 | 24.0 | 24.0 |

2.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს საშუალოდ 1000 ბავშვი. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები უფასოა. აღნიშნული ქვეპროგრამით მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას, კვების და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

- მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**
- აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა;
- საბავშვო ბაგა-ბაღებში გაუმჯობესებული საადმინისტრაციო პროცესი;
- პირველი კლასისთვის მომზადებული ბავშვი;

- შედეგების შეფასების ინდიკატორები:**
- სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღების რაოდენობა;
- სწავლების დონის მაღალი მაჩვენებელი.

აღსაზრდელთა ხვედრითი წილი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა რაოდენობაში;

2.2. საჯარო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02)

- მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**
- მოსწავლეთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა;
- სკოლების გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სათანადოდ აღჭურვილი სკოლების რაოდენობა;

სწავლების დონის მაღალი მაჩვენებელი.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა | 2025 წლის გეგმა | 2026 წლის გეგმა |
|-----------------|--|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|
| 05 00 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 1181.8 | 1628.0 | 1928.6 | 2008.3 | 2143.3 | 2358.8 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 228.9 | 308.8 | 364.7 | 401.0 | 447.0 | 516.0 |
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებების დაფინანსება | 10.0 | 10.0 | 13.0 | 14.0 | 18.0 | 25.0 |
| 05 01 02 | ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთის“ ხელშეწყობის ღონისძიებები | 218.9 | 280.8 | 333.7 | 362.0 | 399.0 | 441.0 |
| 05 01 03 | სტადიონების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები | 0.0 | 18.0 | 18.0 | 25.0 | 30.0 | 50.0 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 32.9 | 51.7 | 57.6 | 80.0 | 106.0 | 126.5 |
| 05 02 02 | ძეგლთა დაცვის ხარჯები | 32.9 | 51.7 | 57.6 | 75.5 | 100.0 | 119.5 |
| 05 02 03 | კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებების დაფინანსება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 4.5 | 6.0 | 7.0 |
| 05 03 | ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება | 2.9 | 12.0 | 33.0 | 39.0 | 52.0 | 66.0 |
| 05 04 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 11.2 | 15.0 | 15.0 | 15.0 | 15.0 | 17.0 |
| 05 05 | კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა | 905.9 | 1240.5 | 1458.3 | 1477.3 | 1529.3 | 1643.3 |

3.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისა და წახალისების

მიზნით. გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების დაფინანსება სპორტული ცენტრის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებას.

3.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ორგანიზება

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

ბავშვთა, მოზარდთა და მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობით ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში.

ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება ფართო ფენებში.

თანამედროვე სტანდარტების დონეზე სპორტულ სანახაობათა პროცესის ორგანიზება

სხვადასხვა რანგის შეჯიბრებების სახელობითი ტურნირების ორგანიზება და ჩატარება.

განხორციელება სასპორტო-საწვრთვნილი საქმიანობა სპორტის რამოდენიმე სახეობაში.

ქვეყნის ნაკრები გუნდები შეივსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სხვადასხვა ტურნირებზე წარმატებული სპორტსმენების რაოდენობა;

მაღალი სპორტული შედეგების მიღწევა, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებში

3.1.2 ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთის“ ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 02)

პროფესიული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

ქართული ფეხბურთისათვის სათანადო სპორტსმენების მომზადება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საქართველოს ჩემპიონატზე სათანადო შედეგების მიღწევა;

3.1.3 სტადიონების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 01 03)

ხდება არსებული სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

სპორტული ბაზების ქსელის ჩამოყალიბება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მუნიციპალიტეტის სოფლების სპორტული ბაზებით უზრუნველყოფის ზრდა

3.2.1 ძეგლთა დაცვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 02 02)

ისტორიული ძეგლების მონიტორინგი, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების წარმოებისათვის.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

ისტორიულ ძეგლებზე არსებული ვითარებაზე ინფორმაციის ქონა

აღმოჩენილ არქეოლოგიურ მონაპოვრების სპეციალისტების მიერ დროულად შესწავლა

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მატერიალური და არამატერიალური ძეგლების კულტურულ ღირებულებათა აღრიცხულობა

3.2.2 კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 03)

ხალხური პოეზიის გამოვლენა და შემოქმედ ოჯახებთან შეხვედრა, ახალგაზრდა თაობის ჩართვით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

კულტურის სფეროში განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვთა და ახალგაზრდა შემოქმედთა მხარდაჭერა

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ნიჭიერ ბავშვთა და ახალგაზრდა შემოქმედთა გამოვლენა

3.3 ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები (მხარეთმცოდნეობის კუთხით ლაშქრობების მოწყობა, ახალგაზრდული დღეების გამართვა, ექსკურსიების მოწყობა, ახალგაზრდობისათვის სხვადასხვა თემატურ საკითხებზე შეხვედრების მოწყობა, ახალგაზრდების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ინიცირებული პროექტების თანადაფინანსება).

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შიანარსიანი და ეფექტური გამოყენება.

ახალგაზრდების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

განხორციელებული პროექტების რაოდენობა;

პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა.

3.4 კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 05)

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“-ს მეშვეობით მუნიციპალიტეტი ახდენს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, ახორციელებს კულტურულ ღონისძიებებს, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობ და სანახაობრივ ღონისძიებებს. ცენტრი ასევე ახორციელებს სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებას მომავალ თაობასთან. აქ ფუნქციონირებს სამუსიკო სკოლა, კომპიუტერის შემსწავლელი ცენტრი, სხვადასხვა სპორტული სექციები (ჭიდაობის, კრივის, რაგბის, ჭადრაკის, კარატესა და მკლავჭიდის) და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

ქართული ხალხური ფოლკლორისა და საესტრადო ჟანრის პოპულარიზაცია, განვითარება და ხელშეწყობა.

საბიბლიოთეკო და საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების ხელშეწყობა და საბიბლიოთეკო მომსახურების სწორი ორგანიზაცია.

სამუზეუმო ფასეულობათა მოპოვება-დაცვა, მათი შესწავლა და პოპულარიზაცია, ფონდის განახლება, ექსპონატების რესტავრაცია.

ქართული და მსოფლიო, სახვითი, დეკორატიულ-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების პროპაგანდა.

შემოქმედებითი, კულტურისა და სხვა დარგის მოღვაწეებთან შეხვედრების მოწყობა ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლების, შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა.

ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;

აქტიური სპორტსმენების რაოდენობის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ახალგაზრდობის ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში

თვითშემოქმედების ანსაზღვრების რაოდენობის ზრდა

მუნიციპალიტეტში სპორტსმენთა საერთო რაოდენობის ზრდა გასულ პერიოდთან შედარებით.

სხვადასხვა ტურნირებზე წარმატებული სპორტსმენების რაოდენობის ზრდა.

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

| პროგრამული | დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა | 2025 წლის გეგმა | 2026 წლის გეგმა |
|------------|--|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 988.4 | 877.9 | 869.7 | 934.7 | 998.0 | 1079.0 |
| 06 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 158.9 | 171.5 | 186.4 | 190.0 | 186.0 | 197.0 |
| 06 02 | ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა | 44.9 | 45.3 | 51.3 | 51.3 | 60.0 | 72.0 |
| 06 03 | მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა | 373.4 | 438.7 | 448.7 | 480.4 | 510.0 | 545.0 |
| 06 03 01 | ავადმყოფთა სოციალური დახმარება | 221.3 | 258.6 | 229.4 | 234.0 | 240.0 | 250.0 |
| 06 03 02 | სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები) | 3.1 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 8.0 | 10.0 |
| 06 03 03 | მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა და ჩერნობილით დაზარალებულთა სოც. უზრუნველყოფის ხარჯები | 7.3 | 8.4 | 9.0 | 12.4 | 14.0 | 19.0 |
| 06 03 04 | მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი), დედ-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი | 15.8 | 26.0 | 22.3 | 28.0 | 32.0 | 34.0 |
| 06 03 05 | უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება | 80.2 | 84.1 | 125.0 | 130.0 | 138.0 | 144.0 |
| 06 03 06 | ბავშვის შეეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი | 36.8 | 40.0 | 40.0 | 50.0 | 56.0 | 62.0 |
| 06 03 07 | უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება | 8.9 | 15.6 | 17.0 | 20.0 | 22.0 | 26.0 |
| 06 04 | უმწეოთა ერთჯერადი დახმარება | 30.0 | 30.0 | 20.0 | 25.0 | 28.0 | 30.0 |
| 06 05 | ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება | 234.5 | 30.0 | 30.0 | 45.0 | 56.0 | 66.0 |
| 06 06 | მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა | 146.7 | 162.4 | 133.3 | 143.0 | 158.0 | 169.0 |

4.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები (პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება; ეპიდსაწინაღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა; დაადებების პირველადი ღონისძიებები; ლაბორატორიული სინჯის აღება.)

იმუნიპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელება, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა (იმუნიპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება, ანალიზი, შეფასება, დაზუსტება და

ანგარიშგებადადგენილი წესის მიხედვით. ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი წესის მიხედვით).

იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის 1 თვის მარაგის შექმნა მუნიციპალიტეტში; ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის პჯდ დაწესებულებებისათვის დადგენილი წესის მიხედვით; „ცივი ჯაჭვის“ ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა (წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესის მიხედვით და გადამტანების არსებობის დაგენა სეზონის განმავლობაში).

პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები (წყალსატევებში გამბუზიის გავრცელება ყოველწლიურად და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის გადამტანების წინააღმდეგ ბრძოლა.)

პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა (მალარიის სკრინინგული კვლევა კერებში და კერის გარშემო; სხვა პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა).

დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა (მალარიის დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა; სხვა პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა, რეკომენდაციების მიწოდება).

სანიტარული ღონისძიებები (საგანმანათლებლო, სააღმზრდელო საგანმანათლებლო-საარმზრდელო დაწესებულებებს სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა).

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მოსახლეობის დაცვა სხვადასხვა ინფექციურ დაავადებათა გავრცელებისგან;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ჩატარებული პრევენციული ღონისძიებების რაოდენობა;

პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა ;

4.2 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 03)

4.2.1 ავადმყოფთა სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 01)

სოციალურად შეჭირვებულ ადამიანებს მუნიციპალიტეტი ეხმარება ფაქტიური საოპერაციო ხარჯების 50 %-ის დაფარვით, არამუმეტეს 1500 ლარის ფარგლებში, ასევე დიალუზით დაავადებულთა სატრანსპორტო ხარჯების დაფარვით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

სოციალურად შეჭირვებულ ადამიანებისათვის მაღალხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვის მიღწევებით სარგებლობის უზრუნველყოფა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მაღალხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვის მიღწევებით მოსარგებლეთა ზრდა;

4.2.2 სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები) (პროგრამული კოდი 06 03 02)

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

გარდაცვლილი ომის ვეტერანებისა და უკიდურესად შეჭირვებულთა ოჯახების სოციალური დაცვა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

გარდაცვლილი ომის ვეტერანებისა და უკიდურესად შეჭირვებულთა ოჯახების მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება.

4.2.3 მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა და ჩერნობილით დაზარალებულთა სოც. უზრუნველყოფის ხარჯები (პროგრამული კოდი 06 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დახმარება მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე, ჩერნობილის ტრაგედიით დაზარალებულებზე დახმარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების ოჯახების სოციალური დაცვის ხელშეწყობა.

ჩერნობილის ტრაგედიით დაზარალებულთა სოციალური დაცვის ხელშეწყობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე ოჯახების მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება.

ჩერნობილის ტრაგედიით დაზარალებულთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

4.3.4 მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი), დედ-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი (პროგრამული კოდი 06 03 04)

2023 წელს გამოყოფილია 22,3 ათასი ლარის ასიგნება. ერთჯერადი დახმარება ეწევა 4 და მეტი შვილზე 85 ოჯახს, 100 წელზე უხნესს 4 პიროვნებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სოციალური დახმარების ზრდა

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მრავალშვილიანი ოჯახების ზრდა

4.3.5 უმწეოთა სასაბუღალტრო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება (პროგრამული კოდი 06 03 05)

ამ მიზნით გამოიყოფა 1125,0 ათას ლარს. სასაბუღალტრო ემსახურება 150 ბენეფიციარს.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

სოციალურად შეჭირვებული ადამიანების ყოფითი პრობლემების შემცირება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

დახმარების გარეშე დარჩენილთა ოდენობის შემცირება

4.3.6 ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი (პროგრამული კოდი 06 03 06)

ყოველ ახალდაბადებულ ერთ ახალშობილზე, პირველ და მეორე ბავშვზე 200 ლარი, მესამე და ზემოთ შვილზე 300 ლარი, მეექვსე და ზემოთ 600 ლარი, დაიგეგმა 200 ბავშვზე

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

ყოველ დაბადებულ ბავშვზე დახმარების გაცემა

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

შობადობის მაჩვენებლის ზრდა;

4.3.7 უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება (პროგრამული კოდი 06 03 07)

0-57000 სარეიტინგო ქულის მქონეთ ეწევა დახმარება სასმელი წყლის ღირებულების საანაზღაურებლად, რაც მოიცავს 130-მდე ოჯახს, რომელთა სულადობა 600-მდეა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

სოციალური დახმარების ქვეშ უმწეო კატეგორიის სრულად ასახვა

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

უმწეო კატეგორიისათვის სასმელი წყლით 100 %-ით უზრუნველყოფა

4.4 უმწეოთა ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 04)

დახმარება ეწევა სოციალურად შეჭირვებულ ადამიანებს ერთჯერადად.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

სოციალურად შეჭირვებულთა ერთჯერადი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა
შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სოციალურად შეჭირვებულთა ყოფითი პრობლემების ნაწილობრივ მოგვარება

4.5 ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა ერთჯერადი დახმარება

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

სტიქიით დაზარალებულთა სოციალური დაცვის ხარისხის ამაღლება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სტიქიით დაზარალებულთა რეაბილიტაციის პროცესის დაჩქარება.

4.6 მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 06)

2023 წელს 80,0 ათასი ლარი გამოიყოფა უკიდურესად შეჭირვებული მოსახლეობის ავარიული სახლების შეკეთებისა და უსახლკაროდ დარჩენილთათვის ყოველთვიური ბინის ქირის გადასახადის დაფინანსებისათვის, სახლი შეკეთებისათვის გაიცემა ერთჯერადად 500-დან 3000 ლარამდე, ხლო ბინის დაქირავებისათვის ოჯახზე 50 დან 100 ლარამდე თავშესაფარში მოთავსებამდე განაცხადის გაკეთებისას, საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

უკიდურესად შეჭირვებულთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ავარიულ სახლებში მცხოვრებთა რიცხვის შემცირება.

მუნიციპალიტეტის მერი

დავით ბუკია

პროექტი შეადგინა

დ. ჭოჭუა